SAKHNAKHSHIRI | ISSN 2667-9396 | ოქტომბერი | 2021 | №13

საქნახშირი
SAKNAKHSHIRI

მეშახტე

კომპანიის სიახლეები / ჩვენი თანამშრომლები / ქალაქის ამბები

"საქნახშირში" წყალქცევის კომპლექსის, შიდა საშახტო ტრანსპორტისა და აღმოსავლეთ ფრთის სავენტილაციო სისტემის რეკონსტრუქცია წარმატებით მიმდინარეობს!

გვ.2

გვ.5

ევროკავშირისა და საქართველოს მთავრობის ერთობლივი პროგრამის ფარგლებში, ტყიბულის რეგენერაციის გეგმასთან დაკავშირებული სამუშაო შეხვედრა გაიმართა

გვ.3

გაიცანით ჩვენი თანამშრომლები!

გვ.2

„საქნახშირმა" ჭუმბურიძეების ოჯახს ზამთრისთვის შეშა მიუტანა

"საქნახშირში" წყალქცევის კომპლექსის, შიდა საშახტო ტრანსპორტისა და აღმოსავლეთ ფრთის სავენტილაციო სისტემის რეკონსტრუქცია წარმატებით მიმდინარეობს!

„საქნახშირი" შახტების განვითარების გეგმის განხორციელებას შეუფერხებლად აგრძელებს. ყველა საჭირო აღჭურვილობის შეძენა და ძველი ინფრასტრუქტურის ახლით ჩანაცვლება დაუბრკოლებლად მიმდინარეობს. აღნიშნული ცვლილებები წყალქცევის კომპლექსს, საშახტო ტრანსპორტს, შიდა გზების აღდგენას და მიწისქვეშა კომპლექსის რეაბილიტაციას ეხება.

- ბოლო თვეების განმავლობაში გაფორმდა შეთანხმება და მოხდა ელმავლებისთვის ახალი ბატარეების (აკუმულატორების) შეძენა.
- 70-იანი წლების შემდეგ, „მინდელისა" და „ძიძიგურის" შახტების წყალქცევის სისტემა არ გამოცვლილა. კომპანია „საქნახშირმა" შეიძინა მილები და სხვა საჭირო ინვენტარი, რათა ჭაურში წყალქცევის მილ-გაყვანილობის სრული მოდერნიზაცია განხორციელდეს. ამჟამად წყალქცევის კომპლექსის სრული განახლების პროგრამა მიმდინარეობს. „ძიძიგურის" სახელობის შახტზე უკვე მოხდა ძველი აღჭურვილობის დემონტაჟი, ამ დროისთვის, ახალი აღჭურვილობის მონტაჟისათვის ყველაფერი მზად არის.
- ბოლო წლების განმავლობაში, „ძიძგურის" სახელობის შახტის შიდა გზის აღდგენა მიმდინარეობდა, რომლითაც მუშები გადაადგილდებიან. აღნიშნული პროგრამა ნოემბრის ბოლოს წარმატებით დასრულდება. სამუშაოების 80% უკვე შესრულებულია.
- დასავლეთის შახტზე დაიწყო პროექტი, რომლის მიზანიც შახტში წყლის დონის დაწევა და „მინდელის" სახელობის შახტის დატბორვის საფრთხის მინიმუმამდე დაყვანაა. პროექტის განსახორციელებლად საჭირო აღჭურვილობა უკვე შეძენილია.
- შემუშავებულია მე-8 ველის ქვესართულის მომზადებისა და განახლების პროგრამა. აღნიშნული სამუშაოები უკვე დაწყებულია.
- დაწყებულია სამთო სამუშაოების განვითარების პროგრამა, კერძოდ, ახალი ველების მომზადება. ამ მიზნით, +350 ჰორიზონტზე სავენტილაციო სისტემის გაყვანითი სამუშაოები დაიწყო.
- განხორციელდა +275 ჰორიზონტის გადამყირავლებლის სარემონტო სამუშაოები. სარემონტო სამუშაოებმა წარმატებით ჩაიარა.

კომპანია „საქნახშირი" მადლობას უხდის ყველა თანამშრომელს, რომელმაც მონაწილეობა მიიღო აღნიშნული სამუშაოების წარმატებით განხორციელებაში!

ჩვენი საჩუქარი პირველკლასელებს

"საქნახშირმა" თანამშრომლების პირველკლასელ შვილებს საჩუქარი გაუკეთა და სწავლის დაწყება მიულოცა - პატარები ჩანთებით და სასკოლო ნივთებით დასაჩუქრდნენ. სასკოლო საჩუქარი ჯამში 52 ბავშვმა მიიღო.

"საქნახშირი" ყველას წარმატებულ და ნაყოფიერ სასწავლო წელს უსურვებს!

„საქნახშირმა" ჭუმბურიძეების ოჯახს ზამთრისთვის შეშა მიუტანა

"საქნახშირის" სოციალური პროექტის ფარგლებში, ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაბოსლევში მცხოვრებ ჭუმბურიძეების ოჯახს კომპანიამ ზამთრისთვის შეშა მიუტანა. აღნიშნულ ოჯახში 93 წლის მარგალიტა ჭუმბურიძე შვილთან ერთად უკიდურეს გაჭირვებაში ცხოვრობს. კომპანიის დახმარებით ოჯახი ზამთარს შეშის მარაგით შეხვდება.

პროექტის ფარგლებში, კომპანია უკვე არაერთ ოჯახს დაეხმარა. ბოლო პერიოდში, ზამთრისთვის შეშა დურმიშხან არაბიძისა და ზაზა კუბლაშვილის ოჯახებმაც მიიღეს.

ირაკლი გვენეტაძე - მეშახტე და სპორტსმენი

„საქნახშირში“ დასაქმებულებს შორის ბევრია ისეთი, ვისაც ერთდროულად რამდენიმე პროფესია აქვს. ირაკლი გვენეტაძეც მათ შორისაა - პროფესიით საბანკო-საფინასო საქმის სპეციალისტია, პარალელურად ფეხბურთელიცაა და მეშახტეც. ის ნახშირის გამამდიდრებელ ფაბრიკაში მემანქანის პოზიციაზე მუშაობს.

ირაკლი გვენეტაძე ტყიბულში დაიბადა და გაიზარდა, ტყიბულის N1 საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ნოდარ დუმბაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტზე სწავლობდა.

„საქნახშირში“ 2018 წლიდან საქმიანობს, რამდენიმე წელი „მინდელის“ სახელობის შახტის მოძრაობის უბანში მუშაობდა, შემდეგ გამამდიდრებელ ფაბრიკაში იყო დასაქმებული და პარალელურად, ტყიბულისა და საწირის 13 წლამდე მოზარდთა საფეხბურთო გუნდებს ხელმძღვანელობდა. გარკვეული პერიოდის განმავლობაში “საქნახშირიდან” წავიდა, თუმცა, ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, სამუშაოდ ისევ ქვანახშირის გამამდიდრებელ ფაბრიკაში დაბრუნდა. ის ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ დაბაძველში მუღლესთან, 2 მცირეწლოვან შვილთან და დედასთან ერთად ცხოვრობს.

ირაკლი მეშახტის ოჯახიდანაა. ბაბუა, ვარლამ გვენეტაძე 30 წლის მანძილზე მოწინავე მეშახტე იყო. მამა, მიშა გვენეტაძე 45 წელი „ძიძიგურის“ სახელობის შახტში მექანიკოსად მუშაობდა და შემდეგ შახტის მთვარი ენერგეტიკოსი გახდა. ის მთელი სიცოცხლე ღირსეულად ემსახურა სამთო სფეროს.

ტყიბულის ახალგაზრდულ საფეხბურთო გუნდში ირაკლი 7 წელი ვარჯიშობდა და თამაშობდა (სკოლაში სწავლის პერიოდში), რომლის მწვრთნელიც გახლდათ დამსახურებული ფეხბურთელი, სოსო ლორთქიფანიძე. ამის შემდეგ ის სპორტს დროებით ჩამოსცილდა. საფეხბურთო კარიერა 2015 წელს გაგრძელა, როდესაც ფეხბურთის ფედერაციის C კატეგორიის ლიცენზია მიიღო. 2021 წელს მან B კატეგორიის ლიცენზიაც მიიღო, რაც 18 წლამდე ასაკის მოზარდებთან სამწვრთნელო საქმინაობის წარმართვას გულისხმობს. გარდა ამისა, ირაკლის უფლება აქვს იმუშაოს მთავარი მწვრთნელის დამხმარედ მეორე, მესამე და მეოთხე ლიგაში. ლიცენზიის მიღების შემდეგ, რამდენიმე თვე ის ტყიბულის საფეხბურთო გუნდ „მეშახტეში“ მთავარი მწვრთნელის ასისტენტად მუშაობდა.

2015 წლიდან დღემდე საწირის ბავშთა ასაკობრივი საფეხბურთო გუნდის მრწვნელია. 2015 წლიდან იყო

ტყიბულის ბავშთა საფეხბურთო გუნდის მწვრთნელი (სამწვრთნელო საქმიანობას ამ გუნდში დროებით აღარ ეწევა).

ახლგაზრდა მეშახტე სპორტსმენს საფეხბურთო გუნდებთან მუშაობის 6 წლიანი გამოცდილება აქვს. ამ ხნის მანძილზე გუნდებმა შეჯიბრებებზე სხვადასხვა პრიზები და წარმატებები მოიპოვეს. მისი აღზრდილებიდან ერთ-ერთი, გიგი გაბრიაძე თბილისის დინამოს აკადემიაში წარმატებით ასპარეზობს.

ირაკლი გვენეტაძე: „ფეხბურთი მიყვარს და მწვრთნელობა ჩემი საყვარელი საქმიანობაა. წლებია მოზარდი თაობის ფიზიკურ აღზრდაზე ვზრუნავ, რაც ჩემთვის დიდი პასუხისმგებლობაა. ასევე მიყვარს ჩემი მეორე სამსახური, „ქვანხშირის გამამდიდრებელი ფაბრიკა,“ სადაც საუკეთესო ახლგაზრდული კოლექტივია, სასიამოვნოა მათთან ერთად მუშაობა. მადლობელი ვარ კომპანიის, რომ მაქვს შესაძლებლობა ამ საუკეთესო გუნდის წევრი ვიყო და რაც მთავარია, აქ მუშაობით გავიუმჯობესო ფინანსური მდგომარეობა. იმედი მაქვს, რომ პარალელურად, სამწვრთნელო საქმიანობის გაგრძელებასაც შევძლებ და ჩემს წვლილს შევიტან მომავალი თაობის ფიზიკურ აღზრდაში.“

„საქნახშირის“ ავტოსატრანსპორტო სამმართველოს სამაგალითო გუნდი!

„საქნახშირის“ ავტოსატრანსპორტო სამმართველო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამსახურია, რომელიც მსუბუქი და მაღალი გამავლობის ტრანსპორტით კომპანიის ყველა უბანს ემსახურება: „მინდელის“ სახელობის შახტს, „კედეხას,“ ქვანახშირის გამამდიდრებელი ფაბრიკას, „ძიძიგურის“ სახელობის შახტს.

აღნიშული სამსახური შახტიდან ნახშირის გადაზიდვას და კომპანიის მომარაგებას ახორციელებს. აქ 28 ადამიანია დასაქმებული. სატრანსპორტო სამსახურს რამდენიმე წელია პასუხისმგებლიანი და საქმის ერთგული ადამიანი, რომან ლეთოდიანი ხელმძღვანელობს. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ ეს სამსახური ერთ-ერთი სანიმუშოა „საქნახშირში.“

რომან ლეთოდიანი (ავტოსატრანსპორტო განყოფილების უფროსი): „კარგი ბიჭები მყავს, მძღოლები და ზეინკლები, საუკეთესო თანამშრომლები არაინ. ჩვენთან მსუბუქ და სატვირთო ავტომანქანებზე 22 მძღოლი მუშაობს, ასევე 3 ზეინკალი (შეკეთებაზე).

გვყავს ვტოტრანსპორტის 16 მანქანა. გვაქვს 100 პროცენტიანი გასვლა, ყველა ტექნიკა მწყობრშია და მზადაა სამუშაოდ. ასევე, სამსახურში გვყავს ერთი ქალბატონი, რომელიც კომპიუტერულ პროგრამირებას უზრუნველყოფს. ის წლებია ღირსეულად მუშაობს ჩვენთან ერთად. ექვსი წელია ამ სამსახურის უფროსი ვარ და ამ ხნის მანძილზე ერთი დარღვევა არ გვქონია, ერთი ბიულეტენი არ ჰქონიათ ჩემს თანამშრომლებს. საყვედურიც კი არ მიგვიღია. ეს კი ჩვენი თანამშრომლების დამსახურებაა.“

გაიცანით „ძიძიგურის“ სახელობის შახტის ენერგეტიკული განყოფილების ქვესადგურის თანამშრომლები!

“ძიძიგურის” სახელობის შახტის ენერგეტიკული განყოფილების ქვესადგურის ხუთი თანამშრომლიდან ოთხი ქალბატონი და ერთი კაცია (რომელიც, ამავდროულად, აღნიშნული სამსახურის უფროსია). ამ მეტად საპასუხისმგებლო სამსახურში მეშახტე ქალბატონები 24 საათიან რეჟიმში მუშაობენ და საქმეს სიყვარულითა და ენთუზიაზმით აკეთებენ.

ერთ-ერთი ყველაზე სტაჟიანი თანამშრომელი **ირინა მარგალიტაძეა.** ის 32 წელია „ძიძიგურის“ სახელობის შახტის ენერგეტიკული განყოფილების ქვესადგურში მუშაობს. ქალბატონმა ირინამ პროფესიული განათლება ტყიბულის ინდუსტრიულ ტექნიკუმში მიიღო, რომელიც ელექტროობის სპეციალობით დაამთავრა. სასწავლებლის დასრულების შემდეგ, 1989 წელს მუშაობა მაშინდელ „ლენინის“ სახელობის შახტში, ელექტრო ქვესადგურში დაიწყო. ის დღემდე აქ მუშაობს, მორიგე ოპერატორის პოზიციაზე. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი. კომპანიაშია დასაქმებული მისი შვილიც, სერგო მარგალიტაძე, რომელიც „მინდელის“ სახელობის შახტში აწევაზე, ტვირთის მემანქანედ მუშაობს.

ქვესადგურის თანამშრომლებიდან „საქნახშირში“ მუშაობის ყველზე დიდი გამოცდილება ქალბატონ **მარინა გოტიაშვილს** აქვს. ქალბატონ მარინას მუშაობის 35 წლიანი გამოცდილება აქვს.

მარინა გოტიაშვილი: “საშუალო სკოლა სოფელ მუხურაში დავამთავრე და მალევე გავთხოვდი ტყიბულში. ჭრა-კერვის კურსები გავიარე და 4 წელი სამკერვალო ფაბრიკაში, შემდეგ კი, ცოტა ხნით საბავშვო ბაღში ვმუშაობდი. „საქნახშირში“ მუშაობა 1987 წელს, მაშინდელ „ლენინის“ სახელობის შახტში, „კომპრესორზე“ დავიწყე. 2 წლის შემდეგ სამუშაოდ „სკიპზე“ გადავედი, დაახლოებით 13 წელი ვიმუშავე. 2002 წლიდან ქვესადგურში გადმოვედი და დღემდე აქ ვმუშაობ, ქვესადგურის მორიგე ოპერატორად. ჩემი მეუღლე, თეიმურაზ გოტიაშვილი მეშახტე იყო, მას შახტში მუშაობის 46 წლიანი გამოცდილება აქვს. 23 წელი „ძიძიგურის“ სახელობის შახტის უბანზე მუშაობდა, შემდეგ „სკიპზე“ იყო ზეინკალი. 2 წელია ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო შახტში აღარ მუშაობს. მყავს 2 გოგონა და 4 შვილიშვილი. მე და ჩემი მეუღლე მთელი ცხოვრება შახტში ვმუშაობთ. ამ მუშაობის შედეგად შევიძინეთ ყველაფერი, რაც გვაქვს. გავზარდეთ შვილები და დავამთავრებინეთ უმაღლესი სასწავლებელი. აქ მიღებული ხელფასით ვარჩენდით ოჯახს და დღემდე შახტში მიღებული ხელფასით გვიდგას სული. მადლობა კომპანიას რომ ზრუნავს საკუთარი თანამშრომლების კეთილდღეობაზე და მუნიციპალიტეტის განვითარებაზე.”

ენერგეტიკული განყოფილების ქვესადგურის მორიგე ოპერატორი **ლალი ხაზარაძე** 4 წელია შახტში მუშაობს. სოფელ გურნის საშუალო სკოლის დასრულების შემდეგ ქუთაისის ტექნიკურ სასწავლებელში კულინარიის სპეციალობას დაეუფლა, შემდეგ კი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ტყიბულის ფილიალი დაამთავრა ელექტროობის სპეციალობით. რამდენიმე წელია, მეუღლესთან, ბადრი ხაზარაძესთან ერთად ქვესადგურში, მორიგე ოპერატორად მუშაობს (ბატონი ბადრი ამავე სამსახურის უფროსია). ჰყავს 2 შვილი და 2 შვილიშვილი. მათი ვაჟი, შოთა ხაზარაძე „საქნახშირშია“ დასაქმებული. ის „მინდელის“ სახელობის შახტზე ამწე მემანქანის პოზიციაზე მუშაობს. მათი ოჯახის ძირითადი შემოსავალი შახტში მიღებული ჰონორარია.

ქვესადგურის ყველაზე ახალი თანამშრომელი **შორენა ლობჯანიძეა**. „საქნახშირში“ ის ერთი წელია მუშაობს. აქვე არიან დასაქმებულები მისი მეუღლე და შვილი.

შორენა ლობჯანიძე: “თბილისში დავიბადე, 9 წელი სკოლაში იქ ვსწავლობდი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ტყიბულის ფილიალი მყარი წიაღისეულის გამდიდრების ტექნოლოგიის სპეციალობით დავამთავრე. 6 წელი ტყიბულის სამკერვალო ფაბრიკაში ვმუშაობდი. “საქნახშირში“ 1 წლის წინ მოვედი, ქვესადგურის ყველაზე ახალი თანამშრომელი ვარ. მეუღლე, მურმან გავაშელიშვილი „ძიძიგურის“ შახტის სანგრევში 2006 წლიდან მუშობს. გვყავს ორი შვილი, უფროსი ვაჟი, შოთა გავაშელიშვილი „ქვანახშირის გამამდიდრებელ ფაბრიკაში“ სასწორზე მუშაობს. უმცროსი ვაჟიც შახტში მუშაობდა და ახლა ტელეანძაზე გადავიდა სამუშაოდ. ოჯახიდან სამნი ამ კომპანიაში ვართ დასაქმებულები. ყველაფერი აქ მიღებული ხელფასით გვაქვს შეძენილი, ეს არის ჩვენი ოჯახის შემოსავლის წყარო. ბოლო დროს ხელფასებმაც მოიმატა. ნელ-ნელა, ეტაპობრივად იმატებს და ეს ძალიან კარგია. აქ დასაქმებულები ყურადღებას და ზრუნვას ვგრძნობთ, დაზღვევაც უკეთესი გვაქვს. კარგია რომ დაზღვევის პირობები შეიცვალა და პროვაიდერი კლინიკები დაემატა. კოვიდის დროს ჩემს ოჯახს კომპანია ძალიან დაეხმარა, ბიულეტენი აგვინაზღაურეს. მინდა დიდხანს იმუშაოს კომპანიამ, შახტამ და ბევრი ადამიანი იყოს დასაქმებული. ყველა მეშახტეს უსაფრთხო მუშაობას ვუსურვებ. პირველ რიგში კი საკუთარ ჯანმრთელობას, სიცოცხლეს უნდა გაუფრთხილდნენ!”

ბადრი ხაზარაძე “ძიძიგურის” სახელობის შახტის ენერგეტიკული განყოფილების ენერგეტიკოსია. ის ქვესადგურის თანამშრომლებში დასაქმებული ერთადერთი მამაკაცია, თანამაშრომლები მას ახასიათებენ როგორც საუკეთესო პიროვნებას, საკუთარი საქმის პროფესიონალს და კარგ ხელმძღვანელს.

ბატონმა ბადრიმ „საქნახშირში“ მუშაობა 2007 წელს, „ძიძიგურის“ სახელობის შახტზე, ელექტრიკოსად დაიწყო. ბოლო ხუთი წელია ენერგეტიკოსის პოზიციას იკავებს. მას შახტში მუშაობის 14 წლიანი გამოცდილება აქვს.

ტყიბულის მეხუთე საშუალო სკოლის დასრულების შემდეგ, ტყიბულის პროფესიული ტექნიკუმი დაამთავრა (ელექტროობის სპეციალობით), შემდეგ თბილისში, დიმიტროვის სახელობის ქარხანაში სწავლობდა ელექტროობას. პროფესიით ელექტრო-რადიო ტექნიკოსია. წლების მანძილზე („საქნახშირში“ დასაქმებამდე) „ტელეატელიეში“ მუშაობდა, სადაც ტელე-რადიო შეკეთებას აწარმოებდა. როგორც უკვე გითხარით, მასთან ერთად კომპანიაში მისი მეუღლე და შვილიც არიან დასაქმებულები.

ილია სულამანიძე მსოფლიო ჩემპიონია!

იტალიის ქალაქ ოლბიაში, ახალგაზრდებს შორის გამართულ ძიუდოს მსოფლიო ჩემპიონატზე ილია სულამანიძემ ოქროს მედალი მოიპოვა. მან ტურნირი საკმაოდ დამაჯერებლად განვლო და მეტოქეებისგან არცერთი ქულა არ გაუშვია.

„საქნახშირი“ ულოცავს ილიას და მის გულშემატკივრებს ამ გამარჯვებას!

მომდევნო ტურნირი, სადაც ილია იასპარეზებს, 23 წლამდელთა ევროპის ჩემპიონატია, რომელიც 7 ნოემბერს, უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში გაიმართება.

ტყიბულის „მეშახტემ“ სამთოელთა გერბი მოიგო!

21 ოქტომბერს ტყიბულის “მეშახტემ” საკუთარ მოედანზე უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა და სამთოელთა გერბი მოიგო!

მატჩი რეგულაციების დაცვით, ტყიბულის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა და ანგარიშით 2 : 0 “მეშახტეს” გამარჯვებით დასრულდა.

საფეხბურთო კლუბ “მეშახტეს” და მის გულშემატკივრებს ვულოცავთ გამარჯვებას!

ევროკავშირისა და საქართველოს მთავრობის ერთობლივი პროგრამის ფარგლებში, ტყიბულის რეგენერაციის გეგმასთან დაკავშირებული სამუშაო შეხვედრა გაიმართა

ევროკავშირისა და საქართველოს მთავრობის ერთობლივი, საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში, ტყიბულის რეგენერაციის გეგმის მომზადებასთან დაკავშირებით, სამუშაო შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრას რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე მზია გიორგობიანი, იმერეთში სახელმწიფო რწმუნებული ზვიად შალამბერიძე, ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერი თემურ ჩუბინიძე, მერის პირველი მოადგილე გიორგი ლომთაძე, საკრებულოს თავმჯდომარე ნატალია კობახიძე, პროექტის ჯგუფის ლიდერი ვიტოლდ სარტორიუსი, ადგილობრივი ხელისუფლებისა და შპს ,,საქნახშირის“ წარმომადგენლები, ექსპერტები, მოქალაქეები და დაინტერესებული პირები ესწრებოდნენ.

შეხვედრის მონაწილეებმა ტყიბულში არსებული ეკონომიკური, ინფრასტრუქტურული და სოციალური მდგომარეობა განიხილეს. იმსჯელეს იმ ლოკაციებზე, რომლებზეც საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში, სხვადასხვა ღონისძიებების გატარება იგეგმება. განხილვის პროცესი კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა და შესაბამისი რეკომენდაციები შემუშავდა.

2021-2022 წლებში, საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში, იმერეთში ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად 69 656 927 ლარია გამოყოფილი. კომისიის მიერ მოწონებული პროექტები ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდება.

2021 წელს, საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის პრიორიტეტებია: ურბანული განახლება - ინტეგრირებული აქტივობები ურბანულ ტერიტორიებზე, ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა უნიკალური პოტენციალის გამოყენებით და ინტეგრირებული ადგილობრივი განვითარება.

სრიგპ ითვალისწინებს სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციებისა და მუნიციპალიტეტების შესაძლებლობების გაძლიერებას, რაც მიზნად ისახავს გარკვეული განსახორციელებელი ამოცანების ადგილობრივ დონეზე ეტაპობრივ დელეგირებას, სხვა დაინტერესებული მხარეების აქტიური ჩართულობით.

ტყიბულში მწერლებთან შეხვედრა გაიმართა

„შეხვედრები ახლებურად“ „ლიბერთი ბანკის“ ახალი პროექტია, რომელის ფარგლებშიც ტყიბულში მწერლები უფროსი თაობის წარმომადგენლებს შეხვდნენ. შეხვედრის მონაწილეებმა მწერალ დათო ტურაშვილთან და „საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორთან,“ გიორგი კეკელიძესთან ერთად საინტერესო საკითხებზე ისაუბრეს და ერთმანეთს გამოცდილება გაუზიარეს.

გიორგი კეკელიძე: „ლიბერთის შესანიშნავი პროექტი „შეხვდრები ახლებურად“ სხვადასხვა რეგიონში ხანდაზმულებთან იმ ადამიანების შეხვედრას გულისხმობს, ვინც გარკვეული გამოცდილება დააგროვა. თუმცა, აი ამ ადამიანების გამოცდილება გაცილებით მნიშვნელოვანია და გაცილებით უფრო საინტერესო. ამიტომ, მე (შეიძლება ხუმრობით, მაგრამ ნებისმიერ ხუმრობაში არის სიმართლეც) ვამბობ, რომ ჩვენ ლექტორები კი არ ვართ, ჩვენ ვართ უბრალოდ მათი მსმენელები, რომლებიც ცოტა უფრო ბევრს ვლაპარაკობთ. შესაბამისად, ეს შეხვედრა არის ამ გამოცდილებების გაზიარება ერთმანეთისთვის და არა მხოლოდ ერთი მხარისა მეორისთვის. ძალიან ბედნიერები ვართ და უდიდესი პატივია ეს ჩვენთვის.“

დათო ტურაშვილი: „ძალიან დიდი მადლობა რომ ისევ აღმოვჩნდი ტყიბულში, საწირეს მისადგომებთან, ამ საოცარ და ზღაპრულ ადგილას. რაც მთვარია, აღმოვჩნდი იმ ადამიანებთან, ვისაც ძალიან სჭირდება ყურადღება. ძალიან დიდი მადლობა მას, ვისაც გაუჩნდა ეს იდეა. მე ძალიან ბევრს ვმოგზაურობ მთელ საქართველოში და ხშირად ვხვდები ახლაგაზრდებს. ძალიან მომეწონა როცა შემახსენეს, რომ არსებობენ ისეთი ასაკის ადამიანები, რომლებიც აღარ არიან ახლაგაზრდები და ვინ იცის, იქნებ ყველაზე ძალიან სჭირდებათ ყურადღება, თანადგომა, ელემენტარული ურთიერთობა. ძალიან კმაყოფილი ვარ რომ ეს შეხვედრა შედგა. ჩვენც ბევრი ვილაპარაკეთ და მათაც ბევრი ისაუბრეს. ბევრი რამ გვკითხეს და, რაც მთავარია, მივიღე ის, რაც თურმე გვაკლია ყველას. ეს არის მათი გამოცდილება, მათი სითბო, მათი დამოკიდებულება და სიყვარული.“



ქალაქში რეკრეაციული ზონები განახლდა

პროექტის ,,ადგილობრივი პარტნიორობა იმერეთის მეორე დონის პოსტ-ინდუსტრიული ქალაქების რევიტალიზაციისთვის“ ფარგლებში, ტყიბულში რეკრეაციული ზონების განახლება მიმდინარეობს, რაც გამსახურდიას ქუჩაზე ორი სკვერის რეაბილიტაციას გულისხმობს.

9 აპრილის სახელობის სკვერში კომპლექსური სამუშაოები განხორციელდა, მათ შორის, მოპირკეთდა ბილიკები, განახლდა მოაჯირები, ჩამოისხა ახალი კედლი, განთავსდა სპორტული ტრენაჟორები, დაიდგა ძელსკამები. პროექტის ფარგლებში განსაზღვრულია ბავშვთა გასართობი სივრცის მოწყობაც, ასევე გამწვანებისა და განათების მოწესრიება.

პარალელურად, სკვერის განახლება სრულდება ცენტრალური ბიბლიოთეკის მიმდებარედაც. დასასვენებელი სივრცეები ადაპტირებულია განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებისთვის.

აღნიშნული პროექტი, საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობისა და ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ფინანსური მხარდაჭერით გამოცხადებული ,,იდეების კონკურსის” ფარგლებში ხორციელდება და მისი საერთო ღირებულება 100 000 ლარს შეადგენს.

ტყიბულს საერთაშორისო სტანდარტების ახალი სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანა ემსახურება

საგანგებო სიტუაციების, კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის ტყიბულის რაიონულ სამსახურს ახალი Mercedes Benz-ის მარკის მაღალი გამავლობის სპეც მანქანა გადაეცა. ახალი ავტომობილი სრულიად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. ის აღჭურვილია თანამედროვე სამედიცინო აპარატურით, რაც აუცილებელია პაციენტისთვის პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად.

ტყიბულის სასწრაფო სამედიცინო დახმარების პერსონალს შესაძლებლობა აქვს დროულად მივიდეს გამოძახების ადგილზე და საჭიროების შემთხვევაში, პაციენტს ავტომანქანაში გაუწიოს პირველადი სამედიცინო დახმარება. ასევე, მოსახერხებელი და კომფორტულია პაციენტის უსაფრთხოდ გადაყვანა სტაციონარში.

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიამ ბავშვებს სასკოლო საჩუქრები გადასცა

სოციალური პროგრამის ფარგლებში, ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიამ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული და ფაქტობრივად მცხოვრები იძულებით გადაადგილებული პირების, შახტში დაღუპულების და დაშავებულების (ვისაც ტრამვის შედეგად მიენიჭათ შშმ პირის სტატუსი), სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახების (რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 20 000-ს) I-VI კლასის მოსწავლეებს, ახალი სასწავლო წლისთვის სასკოლო-საკანცელარიო ნივთები გადასცა.

გარდა ამისა, სასაჩუქრე ნაკრები მიიღეს “ბავშვის ინდივიდუალური მხარდაჭერის გეგმით” შერჩეულმა I -XII კლასის მოსწავლეებმა.

საჩუქარი ჯამში ორმოცდაათამდე ბავშვა მიიღო. პირველკლასელებს, სოციალურად დაუცველებს და “ბავშვის ინდივიდუალური მხარდაჭერის გეგმით” შერჩეულ მოსწავლეებს, საჭირო სასკოლო ნივთებთან ერთად, ჩანთებიც გადაეცათ. ისინი, ვისაც გასულ წლებში ჩანთები მიღებული ჰქონდათ, წელს მოცულობითი სასკოლო-საკანცელარიო ნივთებით დასაჩუქრდნენ.

ღონისძიებას ორგანიზება მერიის ჯანმრთელობის, სოციალური მომსახურების, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურმა გაუწია.

„სითბო და სიტკბო მათ განსაკუთრებით სჭირდებათ“



„სითბო და სიტკბო მათ განსაკუთრებით ჭირდებათ“ - ასე ერქვა საქველმოქმედო აქციას, რომელიც ტყიბულში ხანდაზმულებისთვის გაიმართა და რომელშიც სიამოვნებით ჩაერთო „საქნახშირი.“

აქციის ფარგლებში უფასო სასადილოს ბენეფიციარებს ტკბილეულის სასაჩუქრე პაკეტები ტყიბულის „წითელი ჯვრის“ ფილიალის თანამშრომლებმა და მოხალისეებმა გადასცეს.

საქველმოქმედო აქციაში მუნიციპალიტეტში მოქმედი ორგანიზაციები და ტყიბულის მაცხოვრებლები მონაწილეობდნენ. სწორედ მათი თანადგომით შეგროვდა ტკბილეული.

„საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების“ ტყიბულის ფილიალი მადლობას უხდის ყველას, ვინც საკუთარი წვლილი შეიტანა საქველმოქმედო აქციაში: კომპანია “საქნახშირს,” ტყიბულის სამთო-ტექნოლოგიურ ინსტიტუტს, სსიპ იუსტიციის სახლის საზოგადოებრივი ცენტრს, ტყიბულის საგანმანათლებლო რესურს ცენტრს;

ასევე ტყიბულის მერიის სამსახურებს: საფინანსო, აუდიტის, კულტურისა და ახალგაზრდობის, ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის, სოციალური და ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის, ქონების მართვის, ზედამხედველობის სამსახურს; N 57 ტყიბულის საოლქო საარჩევნო კომისიას, “საქართველოს ფოსტის” ტყიბულის ფილიალს; “ავერსის” ტყიბულის ფილიალს, PSP-ს ტყიბულის ფილიალს, “ფარმადეპოს” ტყიბულის ფილიალს, “ სახალხო აფთიაქის” ტყიბულის ფილიალს; “მაგთის” ტყიბულის ოფისს; ასევე ინდ. მეწარმე ჯამბული ჯიშიაშვილს, ინდ.მეწარმე პაატა ქურციკიძეს, მარკეტ “ლიდერი-1” ჯული ჯიშიაშვილს, ინდ. მეწარმე მადონა ვერულაშვილს, ინდ. მეწარმე ნანა ივანეიშვილს, პაპუნა გვენეტაძეს, ინდ. მეწარმე გია ჩაფიძეს, შპს „გორო 2013“ გოჩა კანკიას, ინდ. მეწარმე “Mobiluris Aqsesuarebi Da Sachuqrebi”ირმა ნადირაშვილს, ინდ. მეწარმე გია გუმბერიძეს, მარკეტ “მაგნიტს,“ ინდ. მეწარმე ფატიმა გაბრიჭიძეს, ინდ. მეწარმე “კაი მარკეტს,” ინდ. მეწარმე თათია რობაქიძეს და ინდ. მეწარმე ნაირა ფოფხაძეს.

საქველმოქმედო აქცია ტყიბულში „საქართველოს წითელი ჯვრის“ ტყიბულის ფილიალის ორგანიზებით და მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით გაიმართა.

“საქნახშირი” მწუხარებას გამოთქვამს **ტყიბულის სამთო-ტექნოლოგიური ინსტიტუტის** ყოფილი დირექტორის, რევაზ ცნობილაძის გარდაცვალების გამო და უთანაგრძნობს მის ოჯახს.


იური ელიაშვილი
სს „ევექსის“ ტყიბულის
კლინიკის დირექტორი
#მეავიცერი
რადგან ვაქცინა ჯანმრთელობის
შენარჩუნების ერთადერთი
საშუალებაა.
საქნახშირი

ირინე კორძაია
ტყიბულის საგანმანათლებლო
რესურს ცენტრის ხელმძღვანელი
#მეავიცერი
რადგან დავიცვა საკუთარი თავი,
ოჯახის წევრები, საზოგადოება.
ყველა უნდა ავიცრათ.
საქნახშირი

ვასილ ქენქაძე
ტყიბულის N1 საჯარო სკოლის
დირექტორი და ისტორიის პედაგოგი
#მეავიცერი
რადგან პანდემიაა, უნდა
ვიფიქროთ როგორც ჩვენს
ჯანმრთელობაზე, ისე სხვებზე.
საქნახშირი

ზაზა
გოჩელაშვილი
„ტყიბულის რაიონის განვითარების
ფონდის“ აღმასრულებელი დირექტორი
#მეავიცერი
ჩემი და ჩემი ოჯახის
წევრების უსაფრთხოებისთვის.
საქნახშირი

იური ბუცხრიკიძე
შპს „საქნახშირი“
სამთო-გაყვანითი სამუშაოების
უბნის უფროსი
#მეავიცერი
რადგან ასე უკეთესია, ახლა თავს
უფრო უსაფრთხოდ ვგრძნობ.
საქნახშირი

ოლეგ დარბაიძე
შპს „საქნახშირი“
N4 ნახშირმომპოვებელი უბნის უფროსი
#მეავიცერი
ახლა თავს
უსაფრთხოდ ვგრძნობ.
საქნახშირი

#მეავიცერი

მთვარისა
სოფრომაძე
შპს „საქნახშირი“
მრეცხავი
#მეავიცერი
ჩემი ჯანმრთელობისთვის.
საქნახშირი

ლელა
ცქიფურიშვილი
ტყიბულის მუნიციპალური
თეატრის თანამშრომელი
#მეავიცერი
ჩემი მოქალაქეობრივი
პასუხისმგებლობის გამო.
საქნახშირი

ნათია ხეთერელი
ტყიბულის მუნიციპალიტეტის კულტურის
ობიექტების გაერთიანების დირექტორის
მოვალეობის შემსრულებელი
#მეავიცერი
რათა დავიცვა ჩემი თავი და
სხვები კორონა ვირუსისგან.
საქნახშირი



#მეავიცერი

საქნახშირი
SAKNAKHSHIRI

მეშახტე

ოქტომბერი | 2021 | №13

სარედაქციო საბჭო:
გვანცა დელიბაშვილი, გიორგი სულაძე, გაგა ისაკაძე, ირაკლი კირკიტაძე, ონისე საპანაძე, ბექა აშოთია, კახა ჩიქობავა, ხვიჩა გაბუნია.

მისამართი: ტყიბული, თაბუკაშვილის 13

“საქნახშირის” კორპორატიული გამოცემა

www.facebook.com/saknakhshiri